ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა

კომისიის სხდომის ოქმი #51

15 დეკემბერი, 2020 წელი

15:00 საათი

(კომისიის თავმჯდომარის ოთახი)

ა/წ 15 დეკემბერს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები:

1. გიორგი ბირბიჩაძე;
2. გიორგი დოხტურიშვილი;
3. მიხეილ ამაშუკელი;
4. ვლადიმერ ძნელაძე;
5. ზაზა მამალაძე.

მოწვეული სტუმარი:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი - გელა ჩივიაშვილი.

სხდომის დღის წესრიგი:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-9 დადგენილების პროექტი;
- “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

სხდომას თავმჯდომარეობდა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ბირბიჩაძე.

გიორგი ბირბიჩაძემ მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა, დამსწრე წევრებს წარმოუდგინა ქვორუმი და გააცნო დღის წესრიგი.

კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ბირბიჩაძემ აღნიშნა, რომ საკითხის უკეთ შესწავლისათვის დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ" განხილულ იქნეს შემდეგ უახლოეს კომისიის სხდომაზე, რასაც ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური საკითხთა კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი.

კომისიის წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი გელა ჩივიაშვილის ინფორმაცია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-9 დადგენილებაში ცვლილებასთან დაკავშირებით.

წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შედის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-9 დადგენილებაში, კერძოდ, აღნიშნული დადგენილების პირველი მუხლის „ვ" ქვეპუნქტით დამტკიცებული „უფასო სწავლება სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში" (კოდი: 06 02 06 03) ქვეპროგრამის ფარგლებში სოციალურად დაუცველი მოსწავლეების საცურაო აუზებში სწავლების დაფინანსების წესის" (დანართი №6) მე-11 მუხლს ემატება მე-6 და მე-7 პუნქტები, რომლის მიხედვითაც, ქვეპროგრამის განმახორციელებელი უფლებამოსილია 2020 წლის დეკემბერში, მიმწოდებლის სტატუსის მქონე დაწესებულებებზე, ქვეპროგრამის ფარგლებში დასაქმებული პირების შრომითი ანაზღაურების გაცემისათვის ავანსის სახით, გასცეს 2020 წლის ნოემბერში, როგორც ასანაზღაურებელი შემთხვევების ფულადი ოდენობის 100 %. შესაბამისად, 2020 წლის დეკემბერში ავანსის სახით მიღებული თანხის მოცულობის შესაბამისად, ქვეპროგრამის მიმწოდებელი ვალდებულია, ქვეპროგრამის მოსარგებლეებს

გაუწიოს წესით გათვალისწინებული მომსახურება, ქვეპროგრამის განმახორციელებელთან შეთანხმებით.

ვინაიდან ქვეპროგრამის მიმწოდებელი დაწესებულებები ვერ ახერხებენ მომსახურების გაწევას, ახალი კორონა ვირუსის პანდემიასთან დაკავშირებული გარემოებების გამო, პროექტის მიზანია, მიუხედავად ამ გარემოებებისა, მათთან დასაქმებულ პირებს შეუნარჩუნდეთ ხელფასი. პროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან.
დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-9 დადგენილების პროექტი კენჭისყრაზე დააყენა:

მომხრე: 5
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

<u>კომისიამ დაადგინა</u>

წარმოდგენილი პროექტი განხილულ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის უმრავლესობის დადებითი რეკომენდაციით.

კომისიის სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ბირბიჩაძე